ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2856/75

ქ. თბილისი

20 დეკემბერი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორი ანა კვარაცხელიას სახით

მეორეს მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე დავით ჭანკოტაძე** (შემდგომში - „მიმწოდებელი"),

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #809 განკარგულების საფუძველზე, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის პროგრამული უზრუნველყოფისათვის ელექტრონული მონაცემთა ბაზის (soft) შექმნა (CPV-48610000) (შემდგომში - მომსახურება).
2.2. გასაწევი მომსახურებები, ვადები, ეტაპები მითითებულია დანართში #1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **41000,00** (ორმოცდაერთიათასი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა, ადგილი და გარანტია

4.1. "მიმწოდებლის" მიერ "შემსყიდველისათვის" შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 30 მარტისა, დანართი #1-ს შესაბამისად.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია "შემსყიდველის" ადგილსამყოფელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
5.3. "შემსყიდველის" მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ოთარ ანთიას, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენით. "მიმწოდებელი" ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში "შემსყიდველს" წარუდგენს ავანსად მოთხოვნილი თანხის (ხელშეკრულების ღირებულების 100%) საბანკო გარანტიას. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **"შემსყიდველი" უფლებამოსილია:**
ა) "მიმწოდებლისგან" მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უფლებრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება;
ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.
7.2. **"შემსყიდველი" ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. **"მიმწოდებელი" უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**
ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.5. შექმნილი ელექტრონული მონაცემთა ბაზა წარმოადგენს სააგენტოს საკუთრებას.
7.6. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ანთია.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.
8.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".
8.4. ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 %-ის ოდენობით.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. მხარე ვალდებულია 10.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2017 წლის 30 აპრილისა.

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო

მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილი №5/16-18
ტელ: +995 32 2960010
ს/კ: 204582763
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22,
ა/ა 200122900

"მიმწოდებელი"

ი.მ. დავით ჭანკოტაძე

მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის №221 ბ53
ტელ: +995 595 114757
ს/კ: 01010007963
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE02TB1100000365100012

დირექტორი

ანა კვარაცხელია

დავით ჭანკოტაძე

„აწარმოე საქართველოში'' სახელმწიფო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი

პროცესის ზოგადი აღწერა

კომერციული ბანკი პროექტში მონაწილეობის მსურველი ბენეფიციარისათვის ამზადებს საკრედიტო ხელშკრულებას სესხის/სესხების გაცემის თაობაზე და აგზავნის შეტყობინებას სესხის მომზადების შესახებ სააგენტოში.

სააგენტო განიხილავს ბენეფიციარის ბიზნეს გეგმას, სესხის პირობებს და მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის/სესხების თანადაფინანსების ან უარის შესახებ.

სააგენტოდან სესხის თანადაფინანსებაზე თანხმობის შემთხვევაში ბანკი აფორმებს გენერალურ ხელშეკრულებას ბენეფიციართან.

გენერალური ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბენეფიციარი აფორმებს ხელშეკრულებას სააგენტოსთან სესხზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსების მისაღებად.

ბანკი აფორმებს საკრედიტო ხელშეკრულებას ბენეფიციართან და გასცემს სესხს/პირველ ტრანშს. ამავდროულად ბანკი ადგენს სესხის დაფარვის დეტალურ გრაფიკს. სესხის/პირველი ტრანშის გაცემის თარიღი ჩაითვლება ბენეფიციარის თანადაფინანსების დაწყების თარიღად.

ბენეფიციარის მიერ გრაფიკის შესაბამისად თანხის სრულად და დროულად გადახდის შემთხვევაში, სააგენტო გადარიცხავს შესაბამის თანადაფინანსების თანხას, რომელიც ასევე გაწერილია სესხის გადახდის გრაფიკში.

სააგენტო განახორციელებს ბენეფიციარის თანადაფინანსებას დებულებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

თანადაფინანსების პერიოდში სააგენტო განახორციელებს თანადაფინანსებული ბენეფიციარების მიერ აღებული სესხების მიზნობრივად ხაჯვის კონტროლს.

დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1)

2017 წლამდე კრედიტის დასაშვები მოცულობები და წლიური საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის მოცულობა USD/EURO	წლიური პროცენტი	თანადაფინანსება
75,000 –500,000	11%	8%
500,001 –1,000,000	10%	8%
1,000,001 >	9%	8%

კრედიტის მოცულობა GEL	წლიური პროცენტი	თანადაფინანსება
1,500,000 <	13%	10%
1,500,000 – 3,000,000	12%	10%
3,000,000 – 5,000,000	11%	10%

ლიზინგის შემთხვევაში

მოცულობა	წლიური პროცენტი	თანადაფინანსება
USD 50,000 – 249,999	15%	12%
USD 250,000 – 499,999	14%	12%
USD 500,000 – 2,000,000	13%	12%

2017 წლის იანვრიდან კრედიტის დასაშვები მოცულობა

1. პროგრამის ბენეფიციარისთვის პირველად გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 150,000.0 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს,
2. მაქსიმალური მოცულობა - 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.
3. სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღებისათვის გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 200,000.0 (ორასი ათასი) ლარს,
4. მაქსიმალური მოცულობა კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში - 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე -2,000,000.0 (ორი მილიონი) ლარს.

2017 წლის იანვრიდან დასაშვები წლიური საპროცენტო განაკვეთი

1. 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7 (შვიდი) პროცენტისა;
2. 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6 (ექვსი) პროცენტისა;
3. 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარიდან 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 (ხუთი) პროცენტისა.

თანადაფინანსების პირობები

1. სააგენტო განახორციელებს ბენეფიციარის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სესხის/პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს 29 თვის განმავლობაში;
2. თანადაფინანსების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს გაცემულ სესხზე 24 თვის განმავლობაში დარიცხული, თანადაფინანსების დასაშვები პროცენტის (GEL - 10%, USD/EURO - 8%, ლიზინგი - 12%) შესაბამისი, თანხის ოდენობას.
3. ბენეფიციარის მიერ სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში სააგენტო გრაფიკით განსაზღვრულ მხოლოდ მომდევნო 3 თვის შესაბამის თანადაფინანსების თანხას აანაზღაურებს.
4. ბენეფიციარის მიერ გადახდის გრაფიკის 90 დღეზე მეტად დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო შეაჩერებს მიზნობრივ თანადაფინანსებას.
5. სააგენტო იღებს თანამონაწილეობას კრედიტის უზრუნველყოფის დაფინანსებაში კრედიტის პირველი ტრანშის გაცემიდან 48 (ორმოცდარვა) თვის განმავლობაში.
6. პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია ყოველ 6 (ექვსი) თვეში ერთხელ, ასევე სააგენტოს მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს სააგენტოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სახელმწიფო პროგრამითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, მათ შორის კრედიტის მიზნობრივად გამოყენების თაობაზე;

სისტემის მომხმარებლები

სისტემის მომხმარებლები დაიყოფა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად - რაც განსასზღვრავს კონკრეტული მომხმარებლის სისტემის სხვადასხვა ფუნქციებზე , მომხმარებლის ინტერფისებზე (UI), წვდომას.

ბანკები

1. სესხების მართვა
    a. ახალი სესხის დამატება;
    b. გენერალური ხელშეკრულებების გაფორმება;
    c. საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმება;
    d. სესხის დაფარვის გრაფიკის დამატება და ცვლილება;
    e. სესხის გენერალური პარამეტრების ცვლილება;
2. ბენეფიციარის გადახდების მართვა;
   (ბენეფიციარების გადახდების აღრიცხვა)
3. სააგენტოს გადახდების რეესტრი;
4. მომხმარებლების მართვა;
   (დამატება/ჩასწორება/წაშლა);

სააააგენტო

1. განსახილველი სესხები;
2. გასაფორმებელი ხელშეკრულებები;
3. თანადაფინანსებული სესხები;
4. თანადაფინანსების რეესტრი;
5. სესხის პარამეტრების ცვლილება;
6. ბენეფიციარების რეესტრი;
7. ბანკების რეესტრი;
8. სესხების პირობების შესრულების მონიტორინგი;
9. მომხმარებლების მართვა;
   (დამატება/ჩასწორება/წაშლა);

ბენეფიციარები

1. სესხების რეესტრი;
2. კონკრეტული სესხის პარამეტრების დათვალიერება;
3. გადახდების რეესტრი;
4. მონიტორინგის რეესტრი;
5. პირადი პროფილი;

მონაცემების სტრუქტურა

ელექტრონული რეესტრები

სისტემის ფუნქციონირებისათვის იწარმოება შემდეგი ელექტრონული ცხრილები - რეესტრები:

1. სესხების რეესტრი;
2. შეტყობინებების რეესტრი;
3. ხელშეკრულებების რეესტრი;
4. ბენეფიციარების გადახდების რეესტრი;
5. თანადაბინანსების რეესტრი;
6. მონიტორინგის რეესტრი;
7. ბანკების რეესტრი;
8. ბენეფიციარების რეესტრი;
9. და სხვა.

სესხები - ზოგადი პარამეტრები - *data1*:

	LoanProjects	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს
1		LProjectID	INT		სისტემა
40	სესხის პროექტის უნუკალური კოდი	LProjectCode	VARCHAR(200)		სისტემა
2	ბენეფიციარის საგადასახადო კოდი	CTaxCode	VARCHAR(200)		ბანკი
3	ბენეფიციარის დასახელება	CName	VARCHAR(200)		ბანკი
4	ლათინური დასახელება	CNameEng	VARCHAR(200)		ბანკი
5	ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი	CAccountNum	VARCHAR(200)		ბანკი
6	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი	CPerson	VARCHAR(200)		ბანკი
7	ბენეფიციარის საკონტაქტო ტელეფონი	CPhone	VARCHAR(200)		ბანკი
8	ბენეფიციარის საკონტაქტო ელფოსტა	CMail	VARCHAR(200)		ბანკი
9	საწარმოს ტიპი	CIsNew	INT	1 - ახალი 0 - არსებული	ბანკი
10	წარმოების იურიდიული მისამართი	CJuridicalAddress	VARCHAR(200)		ბანკი
11	საკადასტრო კოდი	CCadastrCode	VARCHAR(200)		ბანკი
12	წარმოების ფაქტიური რეგიონი	CRegionID	INT		ბანკი
13	წარმოების ფაქტიური მუნიციპალიტეტი	CMunicipalityID	INT		ბანკი
14	წარმოების ფაქტიური მისამართი	CAddress	VARCHAR(200)		ბანკი
15	სესხის ვალუტა	LCurrency	VARCHAR(200)	GEL USD EUR	ბანკი
16	სესხის / პირველი ტრანშის გაცემის სავარაუდო/რეალური თარიღი	LDateEstimate	DATE		ბანკი

17	წარმოების სფერო	CProductionID	INT	tProductionTypes	ბანკი
18	HS Code	CHSCode	VARCHAR(200)	tHSCodes	ბანკი
19	საბოლოო პროდუქტი	CProducts	VARCHAR(200)		ბანკი
20	უზრუნველყოფაში სააგენტოს თანამონაწილეობის ჯამური თანხა	ACollateralAmount	DOUBLE		ბანკი
21	ბენეფიციარის უზრუნველყოფის მთლიანი სალიკვიდაციო თანხა	CCollateralAmount	DOUBLE		ბანკი
22	პროექტის/ინვესტიციის საერთო ღირებულება	InvestmentAmount	DOUBLE		ბანკი
23	პროექტის/ინვესტიციის საერთო ღირებულების ვალუტა	InvestmentCurrency	VARCHAR(200)	GEL USD EUR	ბანკი
24	წარმოების დაწყების თარიღი	CProductionStartDate	DATE		ბანკი
25	წარმოების მოცულობა	CProductionAmount	DOUBLE		ბანკი
26	გენერალური ხელშეკრულების ნომერი	BAgreementNum	VARCHAR(200)		ბანკი
27	გენერალური ხელშეკრულების გაფორმების თარიღი.	BAgreementDate	DATE		ბანკი
28	გენერალური ხელშეკრულება (pdf ფორმატში)	BAgreement	VARCHAR(200)		ბანკი
29	ბიზნეს გეგმა	CBusinessPlan	VARCHAR(200)		ბანკი
30	დამატებითი ინფორმაცია სხვადასხვა წარმოების (მაგ. სასტუმრო) სფეროს შემთხვევაში	CAdditionalDocs	VARCHAR(200)		ბანკი
31	სააგენტოს ხელშეკრულების ნომერი	AAgreementNum	VARCHAR(200)		სააგენტო
32	სააგენტოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	AAgreementDate	DATE		სააგენტო
33	სააგენტოს ხელშკრულება (pdf ფორმატში)	AAgreement	VARCHAR(200)		სააგენტო
34	ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი	AAgreementCancelDate	DATE		სააგენტო
35	სააგენტოს კომენტარი	AComent	VARCHAR(200)		სააგენტო
36	ბანერი გადაცემულია	Banner	INT	0 - არა 1 - დიახ	სააგენტო
37	ვიზიტის თარიღი	VisitDate	DATE		სააგენტო
38	ვიზიტის კომენტარი	VisitComment	VARCHAR(200)		სააგენტო
39	აქვს თუ არა ქონება მიბმული	PropertyAttached	INT	0 -არა 1 - დიახ	სააგენტო
40	სესხის პროექტის უნუკალური კოდი	LProjectCode	VARCHAR(200)		სისტემა
41	სესხის ვადა (თვე)	LPeriod	INT		სისტემა
42	სესხის წლიური პროცენტი	LInteresRate	DOUBLE		სისტემა

43	სესხის მოცულობა	LPrincipalAmount	DOUBLE		სისტემა
44	ძირითადი საშუალებები	LPrincipalBasic	DOUBLE		სისტემა
45	საბრუნავი საშუალებები	LPrincipalWorking	DOUBLE		სისტემა
46	საპროცენტო გადასახადში სააგენტოს თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა	LAInterestAmountMax	DOUBLE		სისტემა
47	მონაცემების ბოლო ცვლილების თარიღი	LastUpdateDate	DATETIME		სისტემა
48	სესხის მიმდინარე სტატუსი	LStatusID	INT	1 - ახალი 2 - მუშავდება 3 - უარი 4 - ფინანსდება 5 - შეწყვეტილი 6 - დასრულდა	სისტემა

ლიზინგის შემთხვევაში:

	LeaseProjects	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს
1		LProjectID	INT		
2	ლიზინგის უნუკალური კოდი	LProjectCode	VARCHAR(200)		
3	ბენეფიციარის საგადასახადო კოდი	CTaxCode	VARCHAR(200)		
4	ბენეფიციარის დასახელება	CName	VARCHAR(200)		
5	ლათინური დასახელება	CNameEng	VARCHAR(200)		
6	ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი	CAccountNum	VARCHAR(200)		
7	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი	CPerson	VARCHAR(200)		
8	ბენეფიციარის საკონტაქტო ტელეფონი	CPhone	VARCHAR(200)		
9	ბენეფიციარის საკონტაქტო ელფოსტა	CMail	VARCHAR(200)		
10	საწარმოს ტიპი	CIsNew	INT	1 - ახალი 0 - არსებული	
11	წარმოების იურიდიული მისამართი	CJuridicalAddress	VARCHAR(200)		
12	საკადასტრო კოდი	CCadastrCode	VARCHAR(200)		
13	წარმოების ფაქტიური რეგიონი	CRegionID	INT		
14	წარმოების ფაქტიური მუნიციპალიტეტი	CMunicipalityID	INT		
15	წარმოების ფაქტიური მისამართი	CAddress	VARCHAR(200)		
16	სესხის ვალუტა	LCurrency	VARCHAR(200)	GEL USD EUR	
17	სესხის / პირველი ტრანშის გაცემის სავარაუდო/რეალური თარიღი	LDateEstimate	DATE		
18	წარმოების სფერო	CProductionID	INT	tProductionTypes	
19	HS Code	CHSCode	VARCHAR(200)	tHSCodes	

20	საბოლოო პროდუქტი	CProducts	VARCHAR(200)		
21	ლიზინგის წლიური პროცენტი	LIterestRate	DOUBLE		
22	ლიზინგის საგნის ღირებულება	LeaseAmount	DOUBLE		
23	ლიზინგის ვადა თვე	LeasePeriod	INT		
24	საპროცენტო გადასახადში სააგენტოს თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა	AInteresAmountMax	DOUBLE		
25	ბიზნეს გეგმა	CBusinessPlan			
26	გადახდის პერიოდი	LPaimentPeriod	INT	1 - თვე 2 - კვარტალი 3 - წელი	
27	გადახდის სავარაუდო რიცხვი	LPaymentDay	INT		
28	სალიზინგო კომპანიასა და ბენეფიციარს შორის კონტრაქტის გაფორმების თარიღი	GAgreementDate	DATETIME		

თითოეულ დამტკიცებული სესხზე სისტემაში ინახება შემდეგი მონაცემები:

სესხები - დეტალური ინფორმაცია - data2:

	Loans	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს
1	სესხის კოდი	LoanID	VARCHAR(200)		ბანკი
2	სესხის პროექტზე ბმა	LProjectID	INT		სისტემა
3	სესხის მოცულობა	LAmount	DOUBLE		ბანკი
4.	სესხის წლიური პროცენტი	LInterestPercent	DOUBLE		ბანკი
5	სესხის ვადა (თვე)	LPeriod	INT		ბანკი
6	დაფინანსების მიზნობრიობა	LPurposeID	INT	1 - ძირითადი საშუალებების 2 - საბრუნავი საშუალებების 3 - შერეული	ბანკი
7	საშეღავათო პერიოდი (თვე)	LGracePeriod	INT		ბანკი
8	საპროცენტო გადასახადში სააგენტოს თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა	AInterrestAmountMax	DOUBLE		ბანკი
9	გადახდის პერიოდი	LPaimentPeriod	INT	1 - თვე 2 - კვარტალი 3 - წელი	ბანკი
10	გადახდის სავარაუდო რიცხვი	LPaymentDay	INT		ბანკი
11	მონაცემების ბოლო ცვლილების თარიღი.	LastUpdateDate	DATETIME		ბანკი

	საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი	LAgreementNum	VARCHAR(200)		
12	საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	LAgreementDate	DATE		ბანკი
13	საკრედიტო ხელშეკრულება (pdf ფორმატში)	LAgreement	VARCHAR(200)		ბანკი
14	სესხის ვალუტა	LCurrency	VARCHAR(200)		სისტემა

სესხის დაფარვის გრაფიკი - data3

	LoanSchedules	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს
1	გადახდის თარიღი	PaimentDate	DATE		ბანკი
2	საწყისი ბალანსი	BalanceBefore	DOUBLE		ბანკი
3	სესხის ათვისება/ტრანში (თანხა)	PrincipalAmount	DOUBLE		ბანკი
4	სულ გადასახდელი	AmountTotal	DOUBLE		ბანკი
5	დასაფარი ძირი	CRepaymentAmount	DOUBLE		ბანკი
6	კლიენტის პროცენტი	CInterestAmount	DOUBLE		ბანკი
7	სააგენტოს პროცენტი	AInterestAmount	DOUBLE		ბანკი
8	საბოლოო ბალანსი	BalanceAfter	DOUBLE		ბანკი
9	სესხზე ბმა	LoanID	INT		სისტემა

ბენეფიციარის გადახდები - data4

	დასახელება	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს
1	ბენეფიციარის საგადასახადო კოდი	CTaxCode	VARCHAR(200)		ბანკი
2	სესხის უნიკალური კოდი	LoanID	VARCHAR(200)		ბანკი
3	გადახდის თარიღი	LPaymentDate	DATETIME		ბანკი
4	გადახდის ვალუტა	LCurrency	VARCHAR(200)		ბანკი
5	ტრანზაქციის უნიკალური კოდი (ბანკის)	TransacrionCode	VARCHAR(200)		ბანკი
6	ძირის დასაფარი თანხა	CRepaymentAmount	DOUBLE		ბანკი
7	ბენეფიციარის პროცენტის თანხა	CInterestAmount	DOUBLE		ბანკი
8	სააგენტოს პროცენტის თანხა	AInterestAmount	DOUBLE		ბანკი
9	ნაშთი (ამ ტრანზაქციის შემდეგ დარჩენილი ძირი)	BalanceAfter	DOUBLE		ბანკი
10	გადახდის დანიშნულებაა	PaymentPurpose	VARCHAR(200)		ბანკი
11	სტატუსი	StatusID		0 - ახალი 1 - გადახდილი	ბანკი

თანადაფინანსება - data5

	დასახელება	ბაზაში დასახელება	ველის ტიპი	დასაშვები მნიშ.	ვინ შეიტანს

1	ბენეფიციარის საგადასახადო კოდი	CTaxCode	VARCHAR(200)		სააგენტო
2	ბენეფიციარის დასახელება	CName	VARCHAR(200)		სააგენტო
3	ბენეფიციარის ბანკი	CBank	VARCHAR(200)		სააგენტო
4	აწგარიშსწორების აწგარიში	CAccountNum	VARCHAR(200)		სააგენტო
5	თანადაფინანსების თანხის ოდენობა	Amount			სააგენტო
6	თანადაფინანსების თანხის ვალუტა	Currency			სააგენტო
7	გადახდის თარიღი	PaymentDate	DATE		სააგენტო
8	სტატუსი	StatusID		0 - გადასახდელი 1- ანაზღაურებული.	სააგენტო

ბენეფიციარი - data6

[

1. კომპანიის სახელი
2. სამართლებრივი ფორმა
   [
   - 1 – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
   - 2 – სააქციო საზოგადოება (სს);
   - 3 – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
   - 4 – კოოპერატივი;
   - 5 – კომანდიტური საზოგადოება;
   - 6 – ამხანაგობა (ერთობლივი საქმიანობა);
   - 7 – კავშირი (ასოციაცია), არარეგისტრირებული კავშირი;
   - 8 – უცხოური საწარმო/უცხოური საწარმოს ფილიალი ან წარმომადგენლობა;
   - 9 - ინდ/მეწარმე;
   - 10 – სხვა.

   ]
3. რეგისტრაციის თარიღი
4. საგადასახადო კოდი
5. ფაქტიური მისამართი
6. იურიდიული მისამართი
7. ხელმომწერი პირი (ერთი ან მეტი)
   [[
   a. სახელი
   b. გვარი
   c. პირადი ნომერი
   d. ტელეფონის ნომერი

   ]]

8. დამფუძნებლები (ერთი ან მეტი)
   [[

a. სახელი
b. გვარი

]]

}

ბანკი - data7

1. ბანკის დასახელება;
2. ბანკის კოდი;
3. ბანკის მისამართი
4. სისტემაში მომხმარებლის სახელი
5. პაროლი

მონიტორინგი - data8

{

1. ბენეფიციარის საგადასახადო კოდი;
2. კრედიტის კოდი;
3. ვალდებულების წარმოქნის თარიღი;
4. მასალების ატვირთვის თარიღი;
5. მონიტორინგის მასალები

მონიტორინგის მასალები - data8.1

[{

1. დოკუმენტის დასახელება;
2. დოკუმენტის მოკლე განმარტება;
3. დოკუმენტის დასკანირებული ფაილი (pdf ფორმატი);

}];

6. საგენტოს მიერ მასალების განხილვის თარიღი;
7. სტატუსი: დაგეგმილი/განსახილველი/დასტური/უარი.

}

ქვესისტემა - „ბანკი“:

ბანკის პროგრამული ბლოკის ფუნქციებია:

5. სესხების მართვა
    f. ახალი სესხის დამატება;
    g. გენერალური ხელშეკრულებების გაფორმება;
    h. საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმება;
    i. სესხის დაფარვის გრაფიკის დამატება და ცვლილება;
    j. სესხის გენერალური პარამეტრების ცვლილება;
6. ბენეფიციარის გადახდების მართვა;
   (ბენეფიციარების გადახდების აღრიცხვა)
7. სააგენტოს გადახდების რეესტრი;
8. მომხმარებლების მართვა;
   (დამატება/ჩასწორება/წაშლა);

ასევე რეალიზებული იქნება სერვისები, უკვე არსებული, მოქმედი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად:

http:// v2.acarmoesaqartveloshi.apmaprojects.com//ws/სერვისის_სახელი.php

სერვისები:

- addUser - სესხის რეგისტრაციის სერვისი. ინფორმაცია სერვისით იგზავნება სესხის დამტკიცებისას.
- loanDisbursement - გრაფიკის რეგისტრაციის სერვისი. ინფორმაცია სერვისით იგზავნება სესხის გაცემისას, რამოდენიმე ტრანშის შემთხვევაში - მხოლოდ პირველი ტრანშის გაცემისას.
- updateDisbursement - გრაფიკის ცვლილების სერვისი. ინფორმაცია სერვისით იგზავნება მეორე ან შემდეგი ტრანშის გაცემით ან წინსწრებით დაფარული სესხით გამოწვეული გრაფიკის ცვლილების დროს. სერვისით ინფორმაცია მოდის ასევე სესხის სტატუსის (სტატუსების ცნობარი ქვევით) ცვლილებისას, როცა სესხი ხდება რესტრუქტურიზებული.
- loanPayment - სესხის დაფარვის სერვისი. ინფორმაცია სერვისით იგზავნება სესხის დაფარვის შემთხვევაში.
- cancel - სესხის უარყოფის სერვისი. ინფორმაცია სერვისით იგზავნება ნებისმიერი მიზეზით სესხის გაცემის უარყოფის შემთხვევაში.

სესხების მართვა(UI)

პროექტში მონაწილეობის მსურველი ბენეფიციარისათვის დამტკიცებული სესხების ცხრილია, რომლის სვეტებს წარმოადგენს სესხის ზოგადი პარამეტრები (data1);

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. ახალი სესხის დამატება;
2. კონკრეტული (სიაში ამორჩეული) სესხის მართვა;
3. სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
4. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
5. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

ახალი სესხის დამატება

ახალი სესხის დასამატებლად გამოიყენება სესხის მართვის ინტერფეისი. ახალი სესხის დამატების შემდეგ ავტომატურად გენერირდება შეტყობინება ამ ოპერაციის შესახებ. სესხის სტატუსი იქნება: 'ახალი';

სესხის მართვა (UI)

პროგრამის ეს ბლოკი კონკრეტული სესხის პარამეტრების ცვლილების შესაძლებლობას იძლევა. სესხის შესახებ ინფორმაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

1. სესხის ზოგადი პარამეტრებით (data1);
2. სესხის/სესხების დეტალური ინფორმაცია (data2):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. მონაცემების შეცვლა;
2. მონაცემების წაშლა;
3. გენერალური ხელშეკრულების გაფორმება;
4. საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება;
    a. სესხის დაფარვის გრაფიკის ატვირთვა.
5. სესხის დაფარვის გრაფიკის შეცვლა;
6. სესხის დაფარვის გრაფიკის ექსპორტი Excel-ში;
7. სესხის პარამეტრების ცვლილების მოთხოვნა;
8. სესხის პარამეტრების ბეჭდვა;

ოპერაციების განხორციელებისათვის სესხის დასაშვები სტატუსი და საჭირო დამატებითი ინფორმაცია:

მონაცემების შეცვლა

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ახალი'.
შესაძლებელია სესხის ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილება;
სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ არ იცვლება.

მონაცემების წაშლა

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ახალი'.
სესხის გაუქმება;
სესხზე ინფორმაცია საერთოდ იშლება სისტემიდან.

სესხის დაფარვის გრაფიკის შეცვლა

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ახალი', 'ფინანსდება';
შესაძლებელია სესხის დაფარვის გრაფიკის (data3) ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილება მხოლოდ მომავალი გადახდებისათვის;
სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ არ იცვლება.

სესხის პარამეტრების ცვლილების მოთხოვნა

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ფინანსდება';
სესხის პარამეტრების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს თანხმობის შემდეგ. ცვლილების განსახორციელებლად ბანკი ჩაასწორებს საკრედიტო ინფორმაციაში მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის შეცვლასაც ითხოვს. სააგენტო განიხილავს მოთხოვნას და მიიღებს ცვლილების განხორციელების ან უარის გადაწყვეტილებას.

გენერალური ხელშეკრულების გაფორმება

სესხის დასაშვები სტატუსია: 'ფინანსდება'
სისტემაში აიტვირთება ბანკისა და ბენეფიციარის მიერ ხელმოწერილი გენერალური ხელშეკრულება.
ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სესხის ზოგად პარამეტრებს ემატება ველები:

1. გენერალური ხელშეკრულების ნომერი
2. გენერალური ხელშეკრულების გაფორმების თარიღი.
3. გენერალური ხელშეკრულება (pdf ფორმატში)

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ არ იცვლება.

საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება

სესხის დასაშვები სტატუსია: 'ფინანსდება'
სისტემაში აიტვირთება ბანკისა და ბენეფიციარის მიერ ხელმოწერილი საკრედიტო ხელშეკრულება და დაემატება ინფორმაცია:

1. საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი
2. საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
3. საკრედიტო ხელშეკრულაბა (pdf ფორმატში)

სისტემაში ასევე უნდა აისახოს(აიტვირთოს) სესხის დაფარვის დეტალური გრაფიკი (data3).
სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ არ იცვლება.

ბენეფიციარის გადახდების მართვა (UI)

ბენეფიციარების მიერ გადახდილი თანხების ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით სვეტებით: ბენეფიციარის გადახდები (data4):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. ახალი გადახდების იმპორტი Excel-ის ცხრილიდან (წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურა - data4);
2. გადახდის მონაცემების შეცვლა (ჩანაწერებისთვის სტატუსით: "ახალი");
3. გადახდის წაშლა (ჩანაწერებისთვის სტატუსით: "ახალი");
4. ამორჩევით სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
5. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
6. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სააგენტოს გადახდების რეესტრი (UI)

სააგენტოს მიერ სესხების თანადაფინანსების უწყისის შექმნის შემდეგ, შესაბამისი გადახდებს შეეცვლება სტატუსი - გახდება 'ანაზღაურებული', რაც აისახება ამ რეესტრში.

რეესტრი ცხრილის სახით არის წარმოდგენილი და შედგება სვეტებისაგან: თანადაფინანსება (data5)

6. განსახილველი სესხები;
7. გასაფორმებელი ხელშეკრულებები;
8. თანადაფინანსებული სესხები;
9. თანადაფინანსების რეესტრი;
10. სესხის პარამეტრების ცვლილება;
11. ბენეფიციარების რეესტრი;
12. ბანკების რეესტრი;
13. სესხების პირობების შესრულების მონიტორინგი;
14. მომხმარებლების მართვა;
    (დამატება/ჩასწორება/წაშლა);

განსახილველი სესხები (UI)

იმ სესხების სიაა, რომელზეც შეთანხმდნენ ბანკი და ბენეფიციარი და სააგენტოს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება ამ სესხის თანადაფინანსებისა თუ უარის შესახებ.

სესხები წარმოდგენილი იქნება ცხრილის სახით და შედგება შემდეგი სვეტებისგან: სესხის ზოგადი პარამეტრებით (data1);

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. კონკრეტული(ცხრილში ამორჩეული) სესხის მარვა;
2. ამორჩევით სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
3. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
4. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სესხის მართვა (UI)

წარმოადგენს ერთი კონკრეტული სესხის შესახბ ინფორმაციას, რომელიც შედეგება ველებისაგან: ზოგადი პარამეტრები (data1) და ცხრილის სახით წარმოდეგენილი ველებისაგან: დეტალური ინფორმაცია (data2):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. თანხმობა თანადაფინანსებაზე;
2. უარი თანადაფინანსებაზე;

ოპერაციების განხორციელებისათვის სესხის დასაშვები სტატუსი და საჭირო დამატებითი ინფორმაცია:

თანხმობა თანადაფინანსებაზე:

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ახალი'

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'ფინანსდება';

უარი თანადაფინანსებაზე

სესხის დასაშვები სტატუსი: გარდა სტატუსისა 'ფინანსდება'.

1. განმარტება - დასაბუთება,

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'უარი დაფინანსებაზე';

გასაფორმებელი ხელშეკრულები (UI)

იმ სესხების სიაა, რომელზეც ბანკსა და ბენეფიციარს შორის გენერალური ხელშეკრულება გაფორმდა, სააგენტოს კი ჯერ არ გაუფორმებია ბენეფიციართან ხელშეკრულება ამ სესხის თანადაფინანსებაზე.

სესხები წარმოდგენილი იქნება ცხრილის სახით და შედგება შემდეგი სვეტებისგან: სესხის ზოგადი პარამეტრებით (data1);

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. კონკრეტული(ცხრილში ამორჩეული) სესხის მართვა;
2. ამორჩევით სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
3. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
4. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სესხის მართვა (UI)

ერთი კონკრეტული სესხის შესახბ ინფორმაციაა, რომელიც შედეგება ველებისაგან: ზოგადი პარამეტრები (data1) და ცხრილის სახით წარმოდეგენილი ველებისაგან: დეტალური ინფორმაცია (data2):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. ხელშეკრულების გაფორმება;
2. უარი ხელშეკრულების გაფორმებაზე;

ხელშეკრულების გაფორმება

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ფინანსდება' და გენერალური ხელშეკრულება ბანკსა და ბენეფიციარს შორის უნდა იყოს გაფორმებული (ატვირთული სისტემაში).

დამატებითი ინფორმაცია რომელიც ემატება არსებულს:

1. ხელშეკრულების ნომერი;
2. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი;
3. დასკანირებული ხელშკრულების ატვირთვა;

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'ფინანსდება';

უარი ხელშეკრულების გაფორმებაზე

სესხის დასაშვები სტატუსი: გარდა სტატუსისა 'ფინანსდება'.

2. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თარიღი;
3. განმარტება - დასაბუთება,

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'უარი დაფინანსებაზე';

სესხის პარამეტრების ცვლილება (UI)

იმ სესხების სიაა, რომლებზეც ბანკის მხრიდან მოთხოვნილია გენერალური პარამეტრების ცვლილება. სააგენტომ უნდა განიხილოს ეს ცვლილებები და მიიღოს გადაწყვეტილება ცვლილების განხორციელების ან უარის შესახებ.

სესხები წარმოდგენილი იქნება ცხრილის სახით და შედგება შემდეგი სვეტებისგან: სესხის ზოგადი პარამეტრებით (data1);

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. კონკრეტული(ცხრილში ამორჩეული) სესხის მართვა;
2. ამორჩევით სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
3. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
4. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სესხის მართვა (UI)

წარმოადგენს ერთი კონკრეტული სესხის შესახბ ინფორმაციას და შედგება შემდეგი ველებისაგან: დეტალური ინფორმაცია (data2):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. სესხის პარამეტრების ცვლილების მოთხოვნის დადასტურება/უარი;

სესხის პარამეტრების ცვლილების მოთხოვნის დადასტურება/უარი;

წარმოადგენს სესხის ძველი და ახალი(შეცვლილი) პარამეტრებს მოცემულს ერთ ეკრანზე.

1. სააგენტოს კომენტარი;
2. ცვლილებებზე დასტური / უარი;
3. განხილვის თარიღი;

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'ფინანსდება'

თანადაფინანსებული სესხები (UI)

იმ სესხების სიაა, რომელზეც სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულება ბენეფიციართან სესხის თანადაფინანსებაზე.

სესხები წარმოდგენილი იქნება ცხრილის სახით და შედგება შემდეგი სვეტებისგან: სესხის ზოგადი პარამეტრებით (data1);

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

5. კონკრეტული(ცხრილში ამორჩეული) სესხის მართვა;
6. ამორჩევით სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
7. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
8. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სესხის მართვა (UI)

წარმოადგენს ერთი კონკრეტული სესხის შესახბ ინფორმაციას და შედგება შემდეგი ველებისაგან: დეტალური ინფორმაცია (data2):

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. ხელშეკრულების შეწყვეტა;

ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია:

ხელშეკრულების შეწყვეტა

სესხის დასაშვები სტატუსი: 'ფინანსდება'

დამატებითი ინფორმაცია რომელიც ემატება არსებულს:

1. ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღი;
2. სააგენტოს კომენტარი;
3. შეწყვეტის ხელშეკრულება.

სესხის სტატუსი ოპერაციის შემდეგ: 'შეწყვეტილი'

თანადაფიანასების რეესტრი (UI)

ბენეფიციარის მიერ სესხის გრაფიკის შესაბამისად თანხის გადახდის სისტემაში ასახვის შემდეგ თანადაფიანასების რეესტრში დაემატება ინფორმაცია გადასახდელი თანადაფინანსების შესახებ.

თანადაფინანსების რეესტრი დაიყოფა ორ ნაწილად:

1. გადასახდელი თანხები
2. ანაზღაურებული თანხები

რესსტრის ორივე ნაწილი ცხრილის სახით არის წარმოდგენილი და შედგება სვეტებისაგან: თანადაფინანსება (data5)

ოპერაციები

ნებისმიერი ოპერაციის შესრულების დროს უნდა სრულდებოდეს დაკრედიტებისა და თანადაფინანსების პირობები (rules1).

1. თანადაფინანსების უწყისის მომზადება;
2. გადახდის ანულირება.

ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია:

თანადაფინანსების უწყისის მომზადება

თანადაფინანსების რეესტრში (გადასახდელი თანხების ნაწილში) მოინიშნება გადახდები, რომლებიც უნდა გადაეცეს შესაბამის სამსახურს ასანაზღაურებლად და ექსპორტირდება ექსელში. ინფორმაციის ექსპორტის შემდეგ გადახდა შესრულებულად ჩაითვლება და გადახდის თარიღად ჩაიწერება მონაცემების ექსპორტირების თარიღი.

გადახდის ანულირება

თანადაფინანსების რეესტრში (ანაზღაურებული თანხების ნაწილში) შესაძლებელია კონკრეტული (ცხრილში ამორჩეული) გადახდის ანულირება. გადახდის თარიღი გასუფთავდება და ეს გადახდა ჩაითვლება ანულირებულად (გამოჩნდება გადასახდელი თანხების ნაწილში).

ბენეფიციარების რეესტრი (UI)

რეესტში აღრიცხულია პროექტის ბენეფიციარები. თითიეული ბენეფიციარზე ინახება შემდეგი მონაცემები: ბენეფიციარი (data6)

ოპერაციები

1. ახალი ბენეფიციარის დამატება
2. კონკრეტული (სიაში ამორჩეული) ბენეფიციარის ინფორმაციის შეცვლა;
3. კონკრეტული (სიაში ამორჩეული) ბენეფიციარის ინფორმაციის წაშლა;
4. სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
5. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
6. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

ბანკების რეესტრი (UI)

ეს რეესტრი წარმოადგენს პროექტში ჩართული ბანკების ცხრილს . თითოეულ ბანკზე რეესტრში ინახება შემდები ინპორმაცია: ბანკი (data7)

ოპერაციები

1. ახალი ბანკის დამატება
2. კონკრეტული (სიაში ამორჩეული) ბანკის ინფორმაციის შეცვლა;
3. კონკრეტული (სიაში ამორჩეული) ბანკის ინფორმაციის წაშლა;
4. სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
5. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
6. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

მონიტორინგის რეესტრი (UI)

ყოველ 6 თვეში ბენეფიციარმა უნდა ატვირთოს სისტემაში მის მიერ ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი საბუთები.

სისტემის ეს ბლოკი წარმოადგენს ცხრილს სვეტებით - მონიტორინგი (data8), რომელიც სამი ნაწილისგან შედგება:

1. ბენეფიციარების(კრედიტების) სია, რომლებმაც უნდა ატვირთონ და ჯერ არ აუტვირტავთ ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მასალები.
2. ბენეფიციარების(კრედიტების) სია, რომლებმაც ატვირთეს მონიტორინგის მასალები, ამასთან სააგენტო არ გაცნობია ამ მასალებს ან გაეცნო და არადამაკმაყოფილებლად ცნო ეს მასალები.
3. ბენეფიციარების(კრედიტების) სია, რომლებმაც ატვირთეს მონიტორინგის მასალები და სააგენტო უკვე გაეცნო და დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ეს მასალები;

ოპერაციები

1. მონიტორინგის მასალების დადასტურება/უარი;

მონიტორინგის მასალების დადასტურება/უარი;

დასაშვები სტატუსი: განსახილველი;

სააგენტო გაეცნობა ბენეფიციარის მიერ ატვირთულ მონიტორინგის მასალებს და დაადასტურებს ან უარყოფს მათ ამ მასალებით ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შესრულებას.

სტატუსი ოპერაციის შემდეგ: დასტური ან უარი;

ქვესისტემა ბენეფიციარი"

პროგრამული ბლოკის ფუნქციებია

1. სესხების რეესტრი;
2. კონკრეტული სესხის პარამეტრების დათვალიერება;
3. გადახდების რეესტრი;
4. მონიტორინგის რეესტრი;
5. პირადი პროფილი;

სესხების რეესტრი (UI)

ბენეფიციარის სესხების რეესტში აღრიცხულია მონაცემები მის მიერ ბანკში/ბანკებში აღებული, სააგენტოს მიერ თანადაფინანსებული, სესხების შესახებ. რეესტრი წარმოადგენს ცხრილს და შეიცავს სვეტებს: სესხები - ზოგადი პარამეტრები (data1):

ოპერაციები

1. კონკრეტული(ცხრილში ამორჩეული) სესხის დათვალიერება;
2. სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
3. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
4. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

სესხის პარამეტრების დათვალიერება;

ბენეფიციარს შეეძლება დაათვალიეროს კონკრეტული სესხის პარამეტრები. სესხის შესახებ ინფორმაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

1. ზოგადი პარამეტრები (data1):;
2. დეტალური ინფორმაცია (data2):
    a. სესხის დაფარვის გრაფიკი (data3)

გადახდების რეესტრი (UI);

ბენეფიციარის გადახდების რეესტში აღრიცხულია მონაცემები მის მიერ აღებული სესხების დასაფარად გადახდილი თანხების შესახებ. რეესტრი წარმოადგენს ცხრილს სვეტებით: ბენეფიციარის გადახდები (data4)

ოპერაციები

1. სვეტების დამალვა/გამოჩენა ცხრილში;
2. მონაცემების ძიება/ფილტრაცია (ცხრილის მთელ სტრიქონში);
3. ცხრილის მონაცემების ექსპორტი Excel-ში.

მონიტორინგის რეესტრი (UI)

ყოველ 6 თვეში ბენეფიციარმა უნდა ატვირთოს სისტემაში მის მიერ ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი საბუთები.

სისტემის ეს ბლოკი წარმოადგენს ცხრილს სვეტებით - მონიტორინგი (data8), რომელიც სამი ნაწილისგან შედგება:

1. დაგეგმილი შემოწმებები, რომლელთა ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მასალები ბენეფიციარს ჯერ არ აუტვირთავს სისტემაში.
2. დაგეგმილი შემოწმებების სია, რომლთა შესაბამისად ბენეფიციარმა ატვირთა მონიტორინგის მასალები, ამასთან სააგენტო არ გაცნობია ამ მასალებს ან გაეცნო და არადამაკმაყოფილებლად ცნო ეს მასალები.
3. შემოწმებების სია, რომლთა შესაბამისად ბენეფიციარმა ატვირთა მონიტორინგის მასალები, სააგენტო უკვე გაეცნო და დამაკმაყოფილებლად ჩათვალა ეს მასალები;

ოპერაციები

1. მონიტორინგის მასალების ატვირტვა სისტემაში;

მონიტორინგის მასალების ატვირტვა სისტემაში

დასაშვები სტატუსი: დაგეგმილი;

დაგეგმილი შემოწმების შესაბამისად ბენეფიციარმა უნდა ატვირთოს ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი (სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმებული) მასალები: ეს მასალები წარმოდგენილია ცხრილის სახით და შედგება ველებისაგან: მონიტორინგის მასალები - data8.1

სტატუსი ოპერაციის შემდეგ: დასტური ან უარი;

პირადი პროფილი (UI)

პირადი პროფილი კომპანიის სესახებ ინფორმაციაა და შედგება ველებისაგან:
ბენეფიციარი (data6)

ოპერაციები

1. კომპანიის მონაცემების ცვლილება.

კომპანიის მონაცემების ცვლილება

ბენეფიციარს ნებისმიერ დროს შეეძლება შეცვალოს (დააზუსტოს) ინფორმაცია თავის შესახებ.

სამუშაოების შესრულების გრაფიკი

		20/01/2017	10/02/2017	15/03/2017	30/03/2017
ბანკები					
	სესხების მართვა				
	ახალი სესხის დამატება				
	გენერალური ხელშეკრულებების გაფორმება				
	საკრედიტო ხელშეკრულებების გაფორმება				
	სესხის დაფარვის გრაფიკის დამატება და ცვლილება				
	სესხის გენერალური პარამეტრების ცვლილება				
	ბენეფიციარის გადახდების მართვა				
	სააგენტოს გადახდების რეესტრი				
	მომხმარებლების მართვა				
სააგენტო					
	განსახილველი სესხები				
	გასაფორმებელი ხელშეკრულებები				
	თანადაფინანსებული სესხები				
	თანადაფინანსების რეესტრი				
	სესხის გენერალური პარამეტრების ცვლილება				
	ბენეფიციარების რეესტრი				
	ბანკების რეესტრი				
	სესხების პირობების შესრულების მონიტორინგი				
	მომხმარებლების მართვა				
ბენეფიციარები					
	სესხების რეესტრი				
	კონკრეტული სესხის პარამეტრების დათვალიერება				
	გადახდების რეესტრი				
	მონიტორინგის რეესტრი				
	პირადი პროფილი				